იცით, ვინ არის ნამდვილი გაკოტრებული?

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «იცით, ვინ არის ნამდვილი გაკოტრებული?» მათ თქვეს: ჩვენში გაკოტრებული ისაა, ვისაც არც დირჰამი აქვს და არც ქონება. მაშინ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განაცხადა: «ნამდვილი გაკოტრებული ჩემი თემიდან არის ის, ვინც აღდგომის დღეს მოვა ლოცვით, მარხვითა და ზაქათით, მაგრამ მან ცუდი სიტყვებით აწყენინა სხვას, ცილი დასწამა, სხვისი ქონება მიითვისა, ვიღაცის სისხლი დაღვარა და დაარტყა ამას, ასეთ დროს, მისი კეთილი საქმეები მიეცემა მათ, ვისაც ზიანი მიაყენა, თუ მისი კეთილი საქმეები ამოიწურება, სანამ ვალდებულებებს სრულად გადაიხდის, სხვათა ცოდვები გადაეცემა მას, შემდეგ კი ცეცხლში იქნება მოსროლილი».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის შუმავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავის საჰაბებს ჰკითხა: იცით, ვინ არის ნამდვილი გაკოტრებული? მათ უპასუხეს: ჩვენში გაკოტრებული არის ის, ვისაც არც ქონება აქვს და არც ქონებრივი საკუთრება. მაშინ შუამავალმა თქვა: ნამდვილი გაკოტრებული ჩემი თემიდან არის ის, ვინც აღდგომის დღეს მოვა კეთილი საქმეებით, როგორიცაა ლოცვა, მარხვა და ზაქათი, მაგრამ ის ასევე მოვა იმით, რომ ვიღაცას შეურაცხყოფა მიაყენა და ცუდი სიტყვებით გაკიცხა, ვიღაცის ღირსებას შეეხო, სხვისი ქონება მიითვისა და არ აღიარა, სხვისი სისხლი დაღვარა და უსამართლობა ჩაიდინა, ვიღაცას სცემდა და დაამცირა. ასეთ დროს, მისი კეთილი საქმეები მიეცემა იმ დაჩაგრულებს, ვისაც ზიანი მიაყენა. თუ მისი კეთილი საქმეები ამოიწურება, სანამ ვალებს და ვალდებულებებს სრულად გაისტუმრებს, დაჩაგრულთა ცოდვები მასზე გადავა, შემდეგ კი იგი ცეცხლში იქნება ჩაგდებულ, რადგან მას აღარ დარჩება კეთილი საქმეები.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/6454